საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0180938634621

№ **01/319** **29 / ივლისი / 2021 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამების
კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სააგენტოში შემოსულია თქვენი 2021 წლის 28 ივნისის № 3-744 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მოგაწოდოთ ინფორმაცია „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №84 დადგენილების (შემდგომში - ტექნიკური რეგლამენტი) გადავადების თაობაზე.

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 ივლისის №329 დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება გადავადდა 2021 წლის 1 დეკემბრამდე. ამასთანავე, იგი არ გავრცელდება იმ მოწყობილობებსა და საამწყობრო ნაწილებზე, რომელთა ბაზარზე განთავსება მოხდა 2021 წლის 1 დეკემბრამდე.

მითითებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გამართული არაერთი შეხვედრა ეკონომიკურ ოპერატორებთან. ასევე, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შუამდგომლობა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების რეალიზატორი ეკონომიკური ოპერატორების მიმართვა ეკონომიკის სამინისტროსადმი.

ზემოთ ხსენებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად და შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გამოიკვეთა რიგი პრობლემები და სირთულეები, რომლებიც აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების დისტრიბუტორი და იმპორტიორი ეკონომიკური ოპერატორების წინაშე დგას. მოგეხსენებათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცდა 2020 წელს პანდემიის პირობებში, მკაცრი შეზღუდვების და გართულებული კომუნიკაციის ფონზე, როგორც ეკონომიკური ოპერატორები მიუთითებენ, მათ ვერ გაატარეს სათანადო ღონისძიებები დადგენილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამასთანავე, ეკონომიკური ოპერატორების მითითებით საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ შეამცირა მომხმარებლების მსყიდველობითუნარიანობა, რაც, რა თქმა უნდა, აისახება ეკონომიკური ოპერატორების საქმიანობაზეც. მათივე განმარტებით, მათ ვერ შეძლეს მომწოდებლებთან დაკავშირება და ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისი პროდუქციის შემოტანა.

ეკონომიკური ოპერატორების ტექნიკური რეგლამენტის გადავადების და ძველი ნაშთების რეალიზაციის გარეშე ბაზარზე შეიქმნება დეფიციტი, რაც უარყოფითად აისახება არ მხოლოდ ამ სექტორზე, არამედ მასთან დაკავშირებულ ყველა სეგმენტზე, რომლებსაც აღნიშნული ეკონომიკური ოპერატორები აწვდიან პროდუქტს და უწევენ საგარანტიო მომსახურებას, აღნიშნული მოიცავს: სხვადასხვა ჯანდაცვის დაწესებულებას, კვების ობიექტებს, სავაჭრო ცენტრებს, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს და აშ.

სწორედ აღნიშნული პრობლემების და გამოწვევების, ასევე ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, იქნა მიღებული გადაწყვეტილება ტექნიკური რეგლამენტის სრულად ძალაში შესვლის გადავადებასთან და ძველი ნაშთების რეალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ,

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმისათვის, რომ ბაზარზე არ შეიქმნას პროდუქტის დეფიციტი და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ის სირთულეები, რომელთა წინაშეც მომხმარებლები, ეკონომიკური ოპერატორები და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება აღმოჩნდეს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ელენე კუტალაძე